

საპრესბიურო

მარტინი
ნიკოლოზი

საპრესბიურო გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბერიდან კვირა, 12 ივლისი 1998 №118 (653) ფასი 50 თეთრი

საპრესბიურო
მარტინი
ნიკოლოზი
გაზეთი

სორვატია — კოლანდია 2:1



თუ დღეს რონალდომ ფრანგებს ორი გოლი არ გაუტანა, შუკერი ჩემპიონატის ბომბარდიერიც გახდებოდა

**დღეს ფინალია
ბრაზილია — საფრანგეთი**
სა 6 დენი. 23⁰⁰

ფრანგული ლობია: ბრაზილიას უნდა მოეშობო!

**ემზარ
ზინაიშვილი**
„სარბიელის“
საგანგებო
კორესპონდენტი
ბარნიზიანს



ინტერესი ამ მატჩისადმი არც მაყურებელთა და არც ჟურნალისტთა მხრიდან მაინც და მაინც დიდი არ იყო. ორივე გუნდმა ემოციების თავისი წილი მარაგი ამოწურა, შესაძლებლობების მაქსიმუმი გაიღო, მარცხის სიმწარე ანუ მორალური ტრავმა სრულად იწვინა. პირველი ანტიპოზიციური შეხვედრას „ტრავმირებული“ მატჩი, შესაძლოა, არც თუ სრული ძირითადი შემადგენლობით. — აბა რა მატჩი უნდა იყოს, როცა წუხელ ელიტარულ და ყველაზე ძვირფას მატჩს უწოდებენ „ლიგაში“ ორი პოლანდიელი ფეხბურთელი შევიდა ცოლებთან თუ მეგობარ ვაჟებთან ერთად. — მეუბნება ერთი ჩემი კოლეგა და ჩემს კონტრარგუმენტზე იქნებ ვერ იცანი და სხვებში შევეშალა-მეთქი, თავდაჯერებულად მიპასუხა, ეგეთი რამეები არ მეშლება. ისე კი, გულახდილად ვეუბნები, ერთი ქალი ძალიან მაგარი იყო...

მსოფლიოს ჩემპიონატის რიგით 63-ე მატჩმა შესაძლოა ადგილის ბედი გაარკვია. მართლა ფინანსმა, მართლა ჯიჯიანმა, მართლა საოცარმა ხორვატებმა პოლანდიელებს ორი ბურთი გაუტანეს, ერთი გაუშვეს და გამარჯვებულის სარგო მატჩის შემდეგ ტრადიციულ სიხარულის წრეს მინდვრის გარშემო ისინი შეუყვანენ პარიზში და შინ მყოფ თვისტოთა გასახარად. თუმცა ამას ფეხბურთის ისტორიისთვის და თავად მონაწილე გუნდებისთვის და თუ ჰქონდა მნიშვნელობა. დღეს კი აქვე პარიზში გაიმართება მატჩი, რომლის ისტორიული ადგილი და მნიშვნელობა განუზომლად დიდია, მისადმი ინტერესი კი უსაზღვრო თუნდაც იმიტომ, რომ ამ პირველობაზე „გათამაშდა“ საუკეთესო ვარიანტი — მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ეცილება მასხინძელი ქვეყნის გუნდი. ამასვე მძაფრი ინტრიგა წარმოუდგენელიც კია.

მაპატიონ ბრაზილიელთა გულშემატკივრებმა საქართველოში, მაგრამ აქ ბევრს გული წყდება, რომ ბედმა პოლანდიას არ არგუნა ფინალში თამაში. „ევროპელთაგან გადამწვევტ მატჩში თამაშის მორალური უფლება ყველაზე მეტად პოლანდიელებს ჰქონდათ. ნებისმიერ სხვა რანგის მატჩს მათთვის არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს“ — წერს ბრიტანული „სანი“. ამასწინანდელ რეპორტაჟში უკვე გაუწვთ, რომ

„ეკიპი“ წერდა, თუ ამ ქვეყნად სამართალია, ბრინჯაო პოლანდიელებისა უნდა იყოსო. მეც ასე ვფიქრობდი, რადგან ევროპელთაგან მაინც პოლანდიელებმა დატოვეს ყველაზე კარგი შთაბეჭდილება. ნუ ეწყინებათ ფრანგებს, თუ ვიტყვი, რომ ნარინჯისფერები ემე ფაკეს გუნდზე ნაკლებად არ იმსახურებდნენ ფინალში თამაშს. მაგრამ მოხდა ისე, რომ საბოლოოდ პოლანდიელები მეთიხე ადგილზე დარჩნენ. რადა ხორვატთა წარმატების დაკნინება და რადა ნამუსზე ხელის აღება, აბა, ამთხევა ალალი მსოფლიოში შესაძლებელია, მაგრამ მოტივაციის ერთი დაივიწყლონ ფაქტორსაც ნუ დაივიწყებთ — იგი ხორვატებს, რა სათქმელ-სამტკიცებელი ესაა, გაცილებით მეტი ჰქონდათ და აკი იხარეს კიდევ.

იხილეთ მეცხრე გვერდი

ლუქსოვმა ბურთს ფახი გაჰკრა...

**ავთანდილ
ბურასაშვილი**
მოსკოშიდან



უკვე სამი დღეა მოსკოვში ვართ და მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშების სახეობა გახსნაზე მოსახერხებლად თადარიგი გვიჭირავს, მაგრამ აქამდე ვერ დაგვედინა, საამისო სააკრედიტაციო ბარათები საკმარისი იქნება თუ დამატებით ბილეთებიც უნდა აგველო. ამაზე პასუხს საკმარისი ხანს ამაოდ ველოდით. თურმე, ამ დღეში არან სხვა ქვეყნის ჟურნალისტებიც აღმოჩნდა, რომ ეს გაუგებრობა გამოიწვია პრესცენტრის მიერ გაცემულ ინფორმაციამ, რომელშიც გახსნის თარიღად ხან II, ხან III ივლისი იყო მითითებული.

ასე იყო თუ ისე, გუშინ საღამოს ჩვენს დაბნეულობას ბოლო მოეღო — თამაშები 13-ში გაიხსნება ოფიციალურად, არაოფიციალურად კი II-ში. თუმცა, თამაშები დაიწყო ჯერ კიდევ 8 ივლისს, როცა

თბილისში ვიყავით. სწორედ იქ შევიტყვე ჩვენი ფეხბურთელების გამარჯვების ამბავი აშშ-ის გუნდთან, რომელიც II დაუმარცხებიათ, აქ ჩამოსულებმა კი გავიგეთ, რომ იმ დღეს სხვა მატჩებზე გამართულა „დინამოს“ სტადიონზე რუსთა და ლატვიელთა შეხვედრამდე მინდორზე გასულა მოსკოვის მერი ოური ლუქსოვი, ბურთისთვის სიმბოლური ფეხი გაუკრავს და დაწყებულა არა მხოლოდ ამ ორი ქვეყნის, არამედ მთლიანად ფეხბურთელთა ტურნირის და საერთოდ პირველი მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშების რუსებს, როგორც ამბობენ, მშენებრად უთამაშა და III მოუვიათ.

მანამდე კი, სანამ ფეხბურთზე თხრობას განაგრძობდით, სხვა სახეობათა ამბებსაც ვეუბნებთ. II ივლისს ასპარეზობას შეუდგნენ ჩოგბურთელები. ირაკლი უშანგიშვილმა ნამიბიელი ვეი ტუარინიძეაა ჯოზეფი გაანადგურა 6:1, 6:0; მათა ჩახნაშვილმა კი ჩინელ ხუ ჩუნიანს მოუგო 6:2, 6:3. ჩვენმა კალათბურთელმა ვაჟებმა კარგად დაიწყეს შეხვედრა ბრაზილიელებთან და პირველი ტაიმში მოიგეს 34:28, მაგრამ საბოლოოდ ქულით დამარცხდნენ 79:80.

იხილეთ მეფერთმეტე გვერდი

— არა, საბოლოო შედეგი შეიმდგება სამართლიანი არაა, მაგრამ მაინც: ხორვატები რომ ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ, ამას დაფასება უნდა. ჩემი აზრით, შესაძლოა ადგილი ყოფილ იუგებს უფრო აინტერესებდათ, ვიდრე პოლანდიელებს, რომელთათვისაც ნახევარფინალში წაგებით, ფაქტობრივად, ჩემპიონატი დამთავრდა. მათთვის ბრინჯაოს მედლების მოპოვებას აზრი არ ჰქონდა, ამიტომაც გამომიყურებოდნენ უჩვეულოდ. ეტყობოდათ, უხალისოდ თამაშობდნენ. ფაქტობრივად, პოლანდიელებიც იმგვარად მოიქცნენ, როგორც წინა ჩემპიონატებზე ფრანგები — შესაძლოა ადგილისთვის მატჩში თითქმის სა-

ქვეყნის ქოვენტარი კლავიერ პანოვი საქართველოს წარმომადგენლის თანაშემწე

სორვატეებზე ალალია!

თადარიგები რომ გამოჰყავდათ. დღეს კი ხორვატებს, ვფიქრობ, სასწაული არ მოუხდენიათ, გუშინაც ჩვეულებრივი ფეხბურთი ითამაშეს. ოღონდ ეგ იყო, მათი ვაჟკაცობა სხვებისთვის მაგალითად დარჩა. ამიტომაც ვამბობ — რასაც მიაღწიეს ხორვატებმა, მათთვის ალალია. მაგრამ არც იმის უთქმელობა იქნება, რომ პოლანდიაც და სხვა გუნდებიც მათზე მაღლა დგანან. ხორვატთა შედეგი უპირველესად მონდობებამ განაპირობა.

დღეს კი ფინალია, საუკუნის ფინალი, ჩემპიონის წინასწარ გამოცნობა მეტად ძნელი საქმეა, თუმცა ჩემი ვარაუდით შანსები 60-40-ზეა ფრანგთა სასარგებლოდ. ისე, მსაჯობასაც ვაჩნია. თუ არბიტრი რაღაც-რაღაცეებს არ გამოეკიდა, მგონი, უდიდესი მატჩის მოწმენი შევიქნებით.




ქუთაისის „ტორპედოს“ ევროდებიუტი ინტერტოტოს თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე დასრულდა: სტუმრად 1:0 დამარცხებულ ბელგიურ „ლომელთან“ ქუთათურებმა შინ 1:2 წააგეს.



უზა კაციტაძის და ბადრი კეთილაძის (ფოტო) რეპორტაჟი იხილეთ მეფერთმეტე გვერდზე

გუნდების სავარაუდო შემადგენლობები



საფრანგეთი - ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონატებზე	
<p>საფრანგეთი 2.5 ბრაზილია</p> <p>24.06.1958. სტოკჰოლმი. „რასუნდა“. 27.100 მაყურებელი.</p> <p>1/2 ფინალი</p> <p>საფრანგეთი: აბე, კელბელი, ლერონი, პენვერნი, ჟონკე, მარსელი, ვისნესკი, ფონტენი, კოპა, პიანტონი, ვენსანი</p> <p>ბრაზილია: ჟილმარი, დე სორდი, ნილტონ სანტოსი, ზიტო, ბელინი, ორლანდო, გარინჩა, დიდი, ვავა, პელე, ზაგალო</p> <p>0:1 ვავა (2), 1:1 ფონტენი (8), 1:2 დიდი (38), 1:3, 1:4, 1:5 პელე (53, 64, 76), 2:5 პიანტონი (83)</p> <p>მსაჯე: ბოზ გრიფიტსი (უელსი)</p>	<p>საფრანგეთი 1:1 ბრაზილია</p> <p>21.06.1986. გვადალახარა. „ხალისკო“. 65.000 მაყურებელი.</p> <p>1/4 ფინალი</p> <p>საფრანგეთი: ბატსი, ბატისტონი, ამორო, ბოსი, ტიუსო, ტიგანა, ირესი (ფერერი 84), პლატინი, ფერნანდესი, რომბო (ბელინი 95), სტოპირა</p> <p>ბრაზილია: კარლოსი, ფოსიმარი, ფულიო სეზარი, ედინიო, ბრანკო, ელსო, ალემპო, სოკრატესი, ფუნორი (სილასი 91), მიულერი (ზიკო 72), კარეკა</p> <p>0:1 კარეკა (17), 1:1 პლატინი (40); (პენალტებით 4:3)</p> <p>მსაჯე: იონ ინგა (რუმინეთი)</p>

არიან. მაგალითად, ბრაზილიელი რობერტო კარლოსი და ფრანგი კრისტიან კარემბუ მადრიდის „რეალში“ მშაკაობენ. ამ საღამოს, უდიდესი მნიშვნელობის შეხვედრაში რობერტო კარლოსი უკვეკლად მიიღებს მონაწილეობას, კარემბუ კი ალბათ, არა. არადა, რომ ითამაშოს, ზუსტად ერთმანეთთან მიუწევთ დაპირისპირება, რადგან ეს მარცხენა მცველია, ის მარჯვენა ნახევარმცველი.

„დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი მეგობარი ტრაემას საბოლოოდ მოიშუშებს და ჩემსავით მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი გახდება. გარდა ამისა, მინდა კარგად ვითამაშოთ მანაც და მეც“ — თქვა რობერტო კარლოსმა.

ტუტუ

„მე დიდი ხანია ვეცნობ ტუტუს და კარგად ვიცი, რომ თუ გაბრაზდა, მისი შეშვრებული კაცი არაა. ნახევარფინალში ხორვატებმა გოლი რომ გავეცანეს, შევხედე და მივხვდი, რომ ძალიან, ძალიან განაწყენდა“ — ამბობს საფრანგეთის ნაკრების მეკარე ფაბიენ ბარტეზი.

გაბრაზებულმა ლილიან ტურამმა, რომელსაც აქამდე 37 სანაკრებო თამაშში გოლი არ ჰქონდა გატანილი, ხორვატები ორი გოლით დასაჯა.

ტურამმა დაადასტურა, რომ შუკერის მიერ ანგარიშის გახსნამ წააქეზა.

„გაგვიყლი“ — ივონებს საფრანგეთის ნაკრების ყველაზე მშვიდი წევრი — „ბავშვებიდან ფინალზე ვოცნებობდით მიუღი თაობა. არა, იმ თამაშის წაგება გამორიცხვული იყო, რაღაც უნდა მქონოდა.“

დღეს ტურამისგან კიდევ ელიან გოლს, ის კი რეალისტურად მსჯელობს.

„მე თავდამსხმელი არ ვარ და ამიტომაც ალბათ შემდეგ გოლს მალე ვერ გავიტან. ნახევარფინალში კი ალფონსო თოვანდი, ვანსაკუთრებით იმ მორე გოლით, რომელიც მარცხენა ფეხით გავიტანე ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ასეთი რამ გადასდებოდა.“

ტურამი 26 წლისაა, წარმოშობით გვალელუბელი.

„ამ ჩემპიონატზე საკუთარი თამაშით გამოფილი არ ვარ, სხვები კი ბერეს მაქებენ. დაცვაში, კი ბალონი, შეცდომა არ დამიშვია, მაგრამ საერთოდ უკეთ შეიძლება“ — ამბობს ის.

ბარტეზმა კი ასე განაგრძო მეგობრის დახასიათება: „სხვა მცველები კარში დარტყმას ვარჯიშებზე ხეყენ, ხოლო იგი ამას არასდროს აკეთებს, რადგან ყოველთვის ფიქრობდა, რომ გოლის გატანის ნიჭი არ აქვს. მეტოქის საჯარბიოსთან პასის გადაცემა ურჩევნია, თავად კი დაცვისკენ ეშურება ხოლმე. იმედი მაქვს, ახლა მიხვდება, რომ აქამდე საკუთარი თავის მიმართ უსამართლო იყო.“

ისე ტუტუ „დღესაც მგონია, რომ პლატინისდროინდელი საფრანგეთი ჩვენსას სჯობდა. ის ბიჭები, ორჯერ ნახევარფინალში რომ დამარცხდნენ, ჩემი კურბები იყვნენ დაუჯერებელია, რომ ჩვენ იმავე შეჯიბრებაში მათზე უკეთ ვითამაშობთ.“

ნახევარფინალის მერე პარიზში, ელისეს მინდერებზე დიდი ზეიმი იყო.

„იქნებ ათასობით ადამიანი, ისინი, ელისეს მინდერებზე რომ ზეიმობდნენ, ფინალში გასვლით დაკმაყოფილდნენ კიდევ, მაგრამ ჩვენ, ფეხბურთელები, ნურას უკაცრავად.“

და გოლოს

მაშ ასე, ქალაქი, რომელშიც 1904 წელს დაარსდა ფიფა, დღეს საუკუნის ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს.

1930 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველი გოლი ფრანგმა გაიტანა. ვინ გაიტანს მეოცე საუკუნის ბოლო გოლს?

იქნებ, ესეც ფრანგმა გაიტანოს, თუმცა... რომალო, აი, ვინ იქნება მოედანზე 21 წლის ბიჭი უკვე ორჯერ იყო პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელი, ახლა კი ვიღაცებმა, თვით ბრაზილიაშიც კი შეჰკადრეს, ჩემპიონატში როგორც ევლოდით, ისე ვერ თამაშობო. და ეს მიუხედავად 4 გოლისა და საგოლე პასებისა.

რივალდო, აი, კიდევ ვინ იქნება მოედანზე „ბარსელონაში“ რომალოს წასვლის მერე მის შემცვლელად მიწვეული ვარსკლავი ფინალამდე უკვე სამი გოლის ავტორია.

„ბრაზილიელებს საგანგებო ფეხბურთის თამაში შეუძლიათ“ — ამბობს ფრანგთა ლიდერი ზინედინ ზიდანი, თუმცა დასძინს — „დაუმარცხებელი არა ვინ არის.“

„ყველაფერი საათნახევარში გაირკვევა. ცხადია, ბრაზილია მოიგებს“ — ამბობს თავის მხრივ პელე.

ბაპუნა კედია

საპირბოროტო
კითხვა-პასუხი

— აი, ფინალიც მოვიდა. კიდევ არ უყურებ მსოფლიოს ჩემპიონატს?
— ეპ, ახლა კი მომინდა ყურება, მაგრამ პარიზში მე ვერ წავალ და...
— პარიზში რა გინდა? ტელევიზორშიც აჩვენებენ.
— ეპ...
— რა ეპ...
— ეპ, ტელევიზორში ვინ გაჩვენებს ფეხბურთს?
— რატომ?
— ბრაზილია ხომ თამაშობს დღეს?
— აბა როგორ.
— პოდა ტელევიზორში სულ ტრიბუნაზე დასკუებული სუზანა ვერნერს გვაჩვენებენ.
— ეგ ვინ არის?
— აბა შენა ხარ. ეგ არის მთავარი. რომალდოს გოგოა.
— მე შეგონა ვინმე პლატინის მდივანი იყო.
— მდივანს ლოჯაში რა უნდა? საბჭოთა საქართველო კი არ არის?
— ისე, გვიარშის ყურებას კი ჯობია იმ სუზანას ყურება.
— მაშინ ფეხბურთი რაღა შუაშია?
— ეპ, ძველებურთად პროვოკაციის გზას აღვებარ.
— მე? მე დღეს ფეხბურთს ვერ ვითამაშებდი.
— რატომ?
— იმ ჯიგრის კაცი არა ვარ, რომ წიკპურტი დამკრან და ტირილით წაპოქცე.
— ეგ რა შუაშია? ვინც ეგრე იქცეოდა, ყველა გვიარდა.
— ჯერ ყველა არ გაგარდნილა.
— შენ რა, ტურამი სიმულიანტი გგონია?
— შენ რა ფუნორ ბაიანო ფეხბურთელი გგონია?
— აბა, გამოტყლი? ფრანგების მხარეს ხარ.
— არავითარ შემთხვევაში. ფრანგები საერთოდ არ უნდა იყვნენ ფინალში.
— რატომ?
— ჩილავერტის შემლოცავის ვიგარი რომ დავხიე, იმიტომ. იმას რომ კარგად შეელოცა მედალიონზე. ფრანგები ვერ მოუგებდნენ.
— სერიოზული კაცი გგონიხარ...
— მე ნუ გგონივარ სერიოზული კაცი. სერიოზული კაცი პლატინია.
— მიხარია, რომ შენგან მესმის ეს სიტყვები ამ სასიქაღლო მოლფაის შესახებ.
— ეპ, იცი სად არის მაგის ადგილი?
— საბატიო ლოჯაში.
— აბა შენა ხარ. მე სხვა საბატიო ლოჯას მოუგებენდი.
— სად?
— მოედანზე. ბოლო პენალტი უნდა დავარტყმეინო მაგას ფინალში. მერე ენახოთ.
— როგორ?
— როგორ და გოლი ხომ მაინც არ გავა და პენალტების სერიაში მაგას ჩავსვამდი დუნგას მაგიერად.
— ეგრე კაცის გაწირვა როგორ შეიძლება?
— ფეხბურთის მაყურებელ კაცს გაწირვა და ლალატი გაავიკვრიდა?
— ვინ გაწირეს?
— გაჩუმდი.
— ვიცი, ვიცი, ჩამოთვლი ჰალაროსან ხალხს.
— გაჩუმდი.
— მარადონა, ხომ?
— ბლატერზე უარესი ხარ.
— და გაზა?
— გაზასგან რა გინდა?
— გაზაც ხომ გაწირეს.
— იმიტომ არიან სახლში.
— გაზა უშველიდა?
— ბუტიმ ხომ უშველა.
— შენთან ლაპარაკი არ შეიძლება.
— წადი და ემე ფაკეს ელაპარაკე.
— მე ველაპარაკო ემე ფაკეს?
— დღეის შემდეგ შენს მეტი მაინც არავინ დაელაპარაკება.
— ესე იგი ბრაზილია მოიგებს?
— ბრაზილია მოიგებდა, მაგრამ კაცი აკლია.
— ვინ, რომარიო?
— არა, პელე.

საფრანგეთის ნაკრები

ჯგუფური ტურნირი. 12 ივნისი. მარსელი. «სტად ველოდრომი».

საფრანგეთი 3:0 (1:0) ს. აზრიაკა

გოლები: კრისტოფ დიუგარი (33), პიერ ისა (78ს.კ. 90ს.კ.)

საფრანგეთი: ფაბიენ ბარტეზი, ლილიან ტურამი, ლორან ბლანი, მარსელ დესაი, ბი...

18 ივნისი. სენ დენი. «სტად დე ფრანსი».

საფრანგეთი 4:0 (1:0) საუდეთი

გოლები: ტიერი ანრი (36, 77), დავიდ ტრუფეა (69), ბიკანტე ლისარასუ (85)

საფრანგეთი: ფაბიენ ბარტეზი, ლილიან ტურამი, ლორან ბლანი, მარსელ დესაი, ბი...

ამ გამარჯვებით საფრანგეთის ნაკრები, მეორე ბრაზილიელთა შემდეგ...

24 ივნისი. ლიონი. «სტად ვერლანი»

საფრანგეთი 2:1 (1:1) დანია

გოლები: საფრანგეთი - იური ჯორკაევი (33), ემანუელ პეტი (56)

საფრანგეთი: ფაბიენ ბარტეზი, ვინსენ კანდელა, ფრანკ ლებეფი, მარსელ დესაი, კრი...

მეორე ტურნირი. 28 ივნისი. ლანსი. «სტად ველოქს პოლერი».

საფრანგეთი 1:0 (0:0) პარაგვაი

გოლები: ლორან ბლანი (114)

საფრანგეთი: ფაბიენ ბარტეზი, ლილიან ტურამი, ლორან ბლანი, მარსელ დესაი, ბი...

ფრანგებმა გამარჯვებას მათი კაპი...



ზიდანს ჭეგრჭერობით საფრანგეთში გოლი არ გაუტანია. რა მოხდება დღეს?

ბრაზილია — საფრანგეთი გზა ფინალამდე



რივალდო წინა შეხვედრებში მეტოქეებს შიშის ზარს სცემდა

ბრაზილიის ნაკრები

ჯგუფური ტურნირი. 10 ივნისი. სენ დენი. «სტად დე ფრანსი».

ბრაზილია 2:1 (1:1) შოტლანდია

გოლები: ბრაზილია - სეზარ სამპაიო (4), ტომი ბოიდი (73ს.კ.)

შოტლანდია - ჯონ კოლინზი (38პ) ბრაზილია: ტაფარელი, კაფუ, ალდაირი, ფუ...

მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის შემდეგ ბრაზილიელებმა ანგარიში მე-4 წუთზე...

18 ივნისი. ნანტი. «სტად დე ლა ბოფუარი».

ბრაზილია 3:0 (2:0) მაროკო

გოლები: რონალდო (9), რივალდო (45), ბებეტო (50)

ბრაზილია: ტაფარელი, კაფუ, ალდაირი, ფუნიორ ბაიანი, რობერტო კარლოსი, სე...

მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე ბრაზილიელთათვის ეს პირველი მარცხი იყო...

23 ივნისი. მარსელი. «სტად ველოდრომი».

ბრაზილია 1:2 (0:0) ნორვეგია

გოლები: ბრაზილია — ბებეტო (78) ნორვეგია — ტორე ანდრე ფლო (83), კე...

მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე ბრაზილიელთათვის ეს პირველი მარცხი იყო...

27 ივნისი. პარიზი. «პარკ დე პრენსი».

ბრაზილია 4:1 (3:0) ჩილე

გოლები: ბრაზილია — სეზარ სამპაიო (11, 27), რონალდო (45პ, 70)

ლიელებმა, პირველივე ტაიმში, ბებეტოს და რივალდოს გაკლეს უკანასკნელი. სოლო...

როულად ორმა ფეხბურთელმა, რონალდომ და სეზარ სამპაიომ დუბლი გაახერხეს...

ბრაზილია 1:1 (0:0) პოლანდია (4:2) გოლები: ბრაზილია — რონალდო (46) პოლანდია — პატრიკ კლუვერტი (87)

ბრაზილია: ტაფარელი, კაფუ, ალდაირი, ფუნიორ ბაიანი, რობერტო კარლოსი, სე...

მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის შემდეგ ბრაზილიელებმა ანგარიში მე-4 წუთზე...

ბრაზილია: ტაფარელი, კაფუ, ალდაირი, ფუნიორ ბაიანი, რობერტო კარლოსი, სე...

ბრაზილია 2:1 (1:1) შოტლანდია გოლები: ბრაზილია - სეზარ სამპაიო (4), ტომი ბოიდი (73ს.კ.)

ბრაზილია: ტაფარელი, კაფუ, ალდაირი, ფუნიორ ბაიანი, რობერტო კარლოსი, სე...


ბრაზილია 3:0 (2:0) მაროკო გოლები: რონალდო (9), რივალდო (45), ბებეტო (50)

ბრაზილია: ტაფარელი, კაფუ, ალდაირი, ფუნიორ ბაიანი, რობერტო კარლოსი, სე...

ბრაზილია 1:2 (0:0) ნორვეგია გოლები: ბრაზილია — ბებეტო (78) ნორვეგია — ტორე ანდრე ფლო (83), კე...

ბრაზილია 4:1 (3:0) ჩილე გოლები: ბრაზილია — სეზარ სამპაიო (11, 27), რონალდო (45პ, 70)

აზრიბელი გრანდოა ჭიდილში



დღეს ფინალისტა ბედი საიდ ბელკოლას ხელში

რომში გახდის მსოფლიოს ჩემპიონატის მსაჯულად

მაშ ასე, დღეს ბრაზილიისა და საფრანგეთის ნაკრებების ფინალურ მატჩს მართავს საიდ ბელკოლა...

Table with 2 columns: Year and Name of the player. Lists names like 1930 ჯონ ლანგენუსი (ბელგია), ანრი კრისტოფი (ბელგია)...

ფრანგული ღობიკა: ბრაზილიას უნდა ეოვებოდ!

დასაწყისი პირველ გვერდზე

ჩემპიონატზე აკრედიტებული ფრანკალი-სტების უმეტესობა გამარჯვებას ბრაზილიელებს უწინასწარმეტყველებს. ჩემი დაკვირვებით, ყოველი ათი ფრანკალისტიდან ექვსი მინც ასე ფიქრობს. „მიუხედავად იმისა, რომ ბოლო სამ შეხვედრაში სამხრეთამერიკელებმა ვერ გვივინებს საჩემპიონო თამაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს შემაღველობა უფრო სუსტად გამოიყურება, ვიდრე ამ ოთხი წლის წინანდელი ამერიკაში, მინც ბრაზილიელები“ — წერს იტალიური „ლა რეპუბლიკა“. და იქვე რიტორიკულად ეკითხება ოპონენტებს — „მამ სხვა ვინ? რომელი გუნდია უფრო სტაბილური და უკეთ მოთამაშე?“

სხვათა შორის, ჩემპიონატის ერთ-ერთი სპონსორის Master Card-ის თაოსნობით პერიოდულად ქვეყნდება ვარსკვლავთა გუნდის შემადგენლობა, რომლის შედგენაში ცნობილი ექსპერტები მონაწილეობენ. ბოლო, ათი ივლისის ვერსიით ეს თექვსმეტკაციანი გუნდი ასე გამოიყურება: მეკარეები — ფაბიენ ბარტეზი (საფრანგეთი) და ზოსე ლუის ჩილავერტი (პარაგვაი); მცველები — მარსელ ლესაი (საფრანგეთი), ფრანკ ლე ბური (პოლანდია), კარლოს გამარა (პარაგვაი), რობერტო კარლოსი (ბრაზილია) და ლილიან ტურამი (საფრანგეთი); ნახევარმცველები — ედვარ და-ვიდსი (პოლანდია), დუნგა (ბრაზილია), ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი), რივალდო (ბრაზილია) და მიქაელ ლაუდრუპი (დანია); თავდასხმელები — დენის ბერესკამი (პოლანდია), ბრაიან ლაუდრუპი (დანია), რონალდო (ბრაზილია) და დავორ შუკერი (ხორვატია). თქვენი არ ვიცი, მაგრამ ამ შემადგენლობაში ჩემთვის ორისამი კაცი ეჭვს იწვევს. მაგალითად, ძალზე მაკლია დაცვაში ფაბიო კანავარო (იტალია). „მასტერკარდის“ ვარსკვლავთა გუნდში მოხვდნენ ექვსი ნაკრების წარმომადგენლები, რომელთაგან ოთხი ევროპიდანაა, ორი კი სამხრეთ ამერიკიდან. ოთხ-ოთხი ფეხბურთელია ფინალური მატჩის მონაწილე გუნდებიდან.

ბოლო დღეებში ევროპელმა ფრანკალი-სტებმა კონტინენტის საკლუბო ტურნირებში წილისყრის შედეგებზე სასაუბროდაც მოიტაცეს. „მარშანდელით ისევ გაკვირვებულა, ანუ არადაც სასტარტო მატჩში უელსის იმავე გუნდს ვხვდებით, რომდევნო ეტაბისთვის კი უბრალოდ დღერთა გადმოგვხვდა, ოთხი საგარეო მეთოქიდან ყველაზე სუსტი, „სპარტა“ გვერგო, არადა, შეიძლება „მანჩესტერ ოქსფორდსა“ და ვეგასებოდით. ასე რომ, თქვენებურ კახა კალაშის ჩემპიონთა ლიგაში თამაშის კარგი პერსპექტივა აქვს“ — მეუბნება კიევის „დინამოს“ პრესსამსახურის შეფი ა. სიმონენკო და განაგრძობს: „თავად ვალერი ლობანოვსკი, სხვა სპეციალისტებიც ერთხმად აღნიშნავენ კახას თამაშს, მან მყარად დაიკვირდა ადგილი ძირითად შემადგენლობაში და დღითიდღე აუზვობებს თამაშის კლასს. ძირითადში მოხვედრა კი ჩვენთან ძელი საქმეა. ამასთან იგი ძალიან კომუნკაბელური, უბრალოა ურთიერთობაში და კივეში სიმამითობით სარგებლობს, პრესაც ძალიან აქებს. მოკლედ, თქვენს ნაკრებში სათამაშოდ კარგ ფორმაში იქნება“.



დიდი დეშამპის მსოფლიოს თასი უკვე სათავისოდ შეუგულეობია

ფრანგების ლოგიკა ასეთია: კი ბატონო, ფავორიტები ბრაზილიელები არიან. მაგრამ ხომ ფაქტია, რომ მათი ამჟამინდელი გუნდი უფრო სუსტია, ვიდრე ის, რომელმაც ამ ოთხი წლის წინ მოუგო იტალიას ფინალში. მაშინდელი იტალია კი დღევანდელ საფრანგეთის ნაკრებზე გაცილებით სუსტი ვახლდათ. და მაშინ ბრაზილიელთა კარგა გუნდმა მხოლოდ პენალტებით შეძლო სუსტი „სკუადრა აპურას“ დამარცხება. ლოგიკა გეკარანახობს, რომ საფრანგეთის ნაკრებმა უნდა მოუგოს ბრაზილიისას. ამას დაუმატეთ შინ თამაშს მოედნის ფაქტორი და გამარჯვება არ უნდა გაეგვიტორდეს.

საერთოდ, ფრანგული პრესა-ტელევიზია ისეთ ტალღაზეა მომართული, რომ კარგი, ოპტიმისტური ფსიქოლოგიური ფონი შექმნას ემე ფაქს გუნდს. ყველგან გაიმახიან და წერენ — თქვენ ჩემპიონები უნდა გახდეთ, თქვენ უფრო ძლიერები ხართ, თქვენით ამკობს საფრანგეთი, ჩვენ გვევრა თქვენი, ფეხბურთელები — გმირები, „პარიზინი“ ყოველ ნომერში აქვეყნებს საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მთამაშეების მოსახრებებს ჩემპიონატზე და განსაკუთრებით ფინალური მატჩის თაობაზე გუშინწინდელ ნომერშიც დაბეჭდილია ფონტენის, როშტოს, ყერესის, ბოსის, პაპენის, ფერანდესისა და სხვათა პროგნოზები. არც ერთ მათგანს არ ეეჭვება — საფრანგეთის ნაკრები საჩემპიონო გუნდია და მას დიდი პრობლემები არ უნდა ჰქონდეს ბრაზილიელებთან შეხვედრაში.

ამ გახვტამ მთელი სვეტი დაუთმო ლუის ფერანდესს, ესპანური წარმოშობის ამ ცნობილ ფრანგ ფეხბურთელს, რომელიც ამჟამად თბილისის „დინამოს“ პოტენციურ მეთოქეს — ბილბაოს „ატლეტიკს“ წვრთნის:

„პოლიტიკოსებმა თავი დაანებონ ჩვენი გუნდის წევრების ეთნიკურ წარმომავლობაზე გაუთავებელ ლაპარაკს. გუნდი დღევანდელი საფრანგეთის სახეა. მე მუამყება, რომ ფრანგი ვარ და ჩემი გუნდი ფინალშია. 12 ივლისს სტადიონზე საფრანგეთის ნაკრების მასურით მივალ, პირსახეს ჩემი ქვეყნის დროშის ფერებით მოვიხატავ. ხელში დავიჭვრ საყვირს და უჭუმაგებ ბიჭებს მათ გამხნეება სჭირდებათ. ჩემი ნება რომ იყოს, „სტად დე ფრანსზე“ კოსტუმსა და პალსტუმში გამოწყობილ არც ერთ კაცს არ შეუუშვებდ.“

ბევრი იმეგვლება რიგითი ფრანგების —

დასახლისების, ექიმების, სტუდენტების, პენსიონერების, მუშების დამოკიდებულების თაობაზე საერთოდ ფეხბურთთან, მიმდინარე ჩემპიონატისა და მომავალი ფინალის გამო. მხოლოდ ორი მაგალითი: მადლენ პელო, 60 წლის ლიზიანერა: მეგონა, რომ სიხარულიდან გული გამოსკვებოდა. ფინალში გასვლა უდიდესი ბედნიერება ყველა ფრანგისთვის. ჩემი მეუღლე პოლანდიელია და მისი გუნდის მარცხის შემდეგ ფრანგებს გულშემატკიერებს. პოლანდია — საფრანგეთის ფინალის შემთხვევაში ალბათ ოჯახი დამწერგოდა.“ პენსიონერი რუბენ მენი: „დამსახურებულად გაემარჯვეთ. მსაჯობა ცუდი იყო და იქნებ არბიტრებმა სათვლით იმსაჯონ. ფინალში გამარჯვება ჩვენი ეროვნული ღირსების საქმეა. ჩვენ გავიმარჯვებთ.“ აი, ასეთი ტონალითაა ინტერვიუებში, ასე იქნება ის აუცილებელი განწყობა, ფრანგ ფეხბურთელებს რომ წაადგებათ თამაშისას. ნიშანდობლივია: რესპონდენტთა შორის ბევრა არაფრანგი, აქაოდა, ხომ ხედავთ, მთელ მსოფლიოს სეკრა თქვენი ძლიერებისა და, აბა, თქვენ იცითო.

ფინალური მატჩის შედეგს ექვსი წევლის დღეული გადაწყვეტის — ასე ფიქრობს „პარიზინის“ მიმომხილველი ქარიმ ნეღასი. კრძოდ: რონალდო — ლებეფი, ტურამი — რობერტო კარლოსი, ლიზარაზუ — კაფუ, დეშამი — დუნგა, ზიდანი — სეზარ სამპაო და გივარში — ჟუნიორ ბაიანო.

სხვათა შორის, საუკუნის მატჩში მარსელ დესაი 90-ე წუთზე ბრაზილიელთა კარში გამარჯვების გოლის გატანას პირდება თავის გულშემატკიერებს, ხოლო გუნდის კაპიტანი დიდი დეშამი დარწმუნებულია, რომ მსოფლიოს თასს აიტაცებს ხელში.

სარბიელი

სპორტული ლაბორიუ „CBO“

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში თბილისში, კინოთეატრ რუსთაველის მეოთხე სართულზე, კროკოს კლუბში შეგეკლებათ თამაშების პირდაპირი რეპორტაჟების ნახვა და ფსონების დადება.

კროკო ფეხბურთის ყველაზე აზარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში მოემსახურება.

ფსონების მიმღები „კროკოს“ ახალი ბიუროები გაიხსნა თბილისის №2, №63 და №67 ფოსტის განყოფილებების შენობებში

№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე

№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი

№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი

მსოფლიოს ჩემპიონატი.

	ფინალი								
	12 ივლისი								
საფრანგეთი — ბრაზილია	(1,7-1,7)	2,6	2,9	2,4					
საფრანგეთი — ბრაზილია	1/1 1/X 1/2 X/1 X/X X/2 2/1 2/X 2/2	4.0 6.0 10.0 4.5 4.5 4.5 10.0 6.0 4.0							

ხვალდინ, 13 ივლისიდან კროკო იმუშავებს კველი განრიგით: ყოველდღე ორგაბათისა და ხუთშაბათის ბარდა

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;

№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; №63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი;

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

რუსთავში — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაახუსტეთ.

